

## 2018 წელი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „განთიადი“ SWOT ანალიზი

### 1. ორგანიზაციის ძლიერი მხარე:

#### **ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა**

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა ხელს უწყობს ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს „განთიადი“ განათლების სისტემის განვითარებაში.

#### **გეოგრაფიული მდებარეობა**

კოლეჯს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია შიდა ქართლის რეგიონში.

#### **ადმინისტრირება**

კოლეჯის დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დიდ ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც კოლეჯის ეფექტური ადმინისტრირების საშუალებას იძლევა.

#### **კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი**

კოლეჯის ოცდაათობმეტი პედაგოგიდან, ორს გააჩნია დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ოცდახუთს - მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ორს - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ხუთს მიღებული აქვს პროფესიული განათლება, რომელთა უმეტესობას აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. კოლეჯის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

#### **საბიბლიოთეკო ფონდი**

ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს 27 483 ერთეულს, მათ შორის ელექტრონული წიგნები და სასწავლო ელემენტები (დისკებზე).

#### **საგანმანათლებლო პროგრამები**

კოლეჯში შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, სწავლება თეორიულ და პრაქტიკულ კურსებზე ხორციელდება პარალელურად. კოლეჯი ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „სამუშაოს მაძიებელთა

პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამებს“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ პროფესიული უნარების კურსებს, აგრეთვე მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

## **საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის:

1. GIZ - გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა;
3. ა(ა)იპ „საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია“.

## **2. ორგანიზაციის სუსტი მხარე**

### **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**

კოლეჯი ამ ეტაპზე არ ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს.

### **მასწავლებლების არასაკმარისი მოტივაცია**

დღეის მდგომარეობით, მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კოლეჯში მოხდეს მაღალი რანგის პროფესიონალების მასწავლებლებად მოწვევა თანამედროვე წარმოებაში მიღებული მუშაობის გამოცდილებით.

### **მასწავლებელთა ასაკი**

კოლეჯის ოცდაათობმეტი მასწავლებლიდან რვას აქვს საპენსიო ასაკი.

### **სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არქონა**

კოლეჯის სტუდენტების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ რაიონების/სოფლების მაცხოვრებლები, რომელთა უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას საკუთარი სახსრებით გადაიხადონ ბინის ქირა ან/და დაფარონ ყოველდღიური მგზავრობის ხარჯები. შესაბამისად, რთულდება სწავლა/სწავლებაზე მათი ხელმისაწვდომობა.

### **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა**

კოლეჯს არ გააჩნია საკუთარი შენობა. იჯარით აღებული შენობის გამო კოლეჯს აქვს გარკვეული შეზღუდვები პროგრამების დამატების მიმართულებით.

### **3. შესაძლებლობები:**

**მზარდი მოთხოვნები სამშენებლო და აგრარული მიმართულების სფეროებში**

სამშენებლო და აგრარული მიმართულების სფეროები ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სექტორებს წარმოადგენს. აღნიშნულ სფეროებში ყოველწლიურად იზრდება სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ასევე იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი.

#### **დონორი ორგანიზაციების ინტერესი**

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან. კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, გეგმავს საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებით კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა.

#### **დამსაქმებელთა ინტერესი**

დამსაქმებელთა თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის იმიჯის განმტკიცებას.

### **4. რისკები**

#### **საგანმანათლებლო ჩიხი**

პროფესიული განათლების საგანმანათლებლო ჩიხური მდგომარეობა მნიშვნელოვნად ამცირებს განათლების ამ სფეროს პრესტიჟსა და სფეროთი დაინტერესებული პირების რაოდენობას.

#### **პროფესიული სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა**

სწავლის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა იწვევს მათი ძირითადი ნაწილისათვის მოტივაციის დაკარგვას. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდგომ, ისინი სწავლას აღარ აგრძელებენ.

#### **პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების/გადამზადების სისტემა.**

არ არსებობს პროფესიული განათლების სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლების მომზადების ან გადამზადების სისტემა.

## პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების და დამსაქმებლებისათვის, ასევე მათთვის, ვინც შესაძლებელია, შემდგომში ჩაერთოს განათლების ამ სეგმენტში, არასაკმარისი მოტივაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების ამ სეგმენტის სწორ განვითარებას.